



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საქართველოს ისტორია, სადოქტორო პროგრამა, მე-8 საფეხური

სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 2023 წლის 14 თებერვალი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2023 წლის 2 მაისი

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	8
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.....	8
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	17
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	24
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	27
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	37

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	გორი სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	218076542
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ქრისტი კონსტანტაკოპულუ, ბირკბეკის კოლეჯი, გაერთიანებული სამეფო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მერაბ ჭუმბურიძე, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნიკოლოზ თუშაბრამიშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ილია ბოცვაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო სანადირაძე, თბილისის მუზეუმთა კავშირი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიორგი ფარეშიშვილი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: გთხოვთ, მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ პროგრამას. საიდენტიფიკაციო კოდისა და დაწესებულების ტიპის მიითითება სავალდებულო არ არის, თუ უსდ აღიარებულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	საქართველოს ისტორია
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	History of Georgia
უმაღლესი განათლების საფეხური	8
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	სადოქტორო
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ისტორია და არქეოლოგია, 0222
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	45
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები)	

²თუ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება განსხვავდება, იგი მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულების მიხედვით.

³(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

საქართველოს ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა გორის სახელმწიფოსთვის ახალი საგანმანათლებლო პროგრამაა. იგი შეიქმნა უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დებულების შესაბამისად. საინიციატივო ჯგუფი შეიქმნა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2021 წლის 11 აგვისტოს N16 განკარგულებით.

საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამის სწავლების ენა არის ქართული. მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის ისტორიის დოქტორი. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს.

პროგრამის სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო და არჩევითი კურსებისაგან და მოიცავს 45 ECTS კრედიტს. სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კომპონენტები, რომლებიც ითვალისწინებენ დოქტორანტის საკვლევი თემის თავისებურებებსა და ინტერესებს და სამეცნიერო ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, ერთობლიობაში წარმოადგენს დოქტორანტის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფი უნივერსიტეტს ესტუმრა 2023 წლის 14 თებერვალს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ასევე დამსაქმებელთა წარმომადგენლები, შეხვედრას ვირტუალურად შეუერთდნენ.

აკრედიტაციის ვიზიტი მოიცავდა შეხვედრებს რექტორთან, პრორექტორებთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, დეკანებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიური პერსონალის წევრებთან, უნივერსიტეტის სხვა პერსონალთან, მაგისტრატურის სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და პროგრამის გარე დაინტერესებული მხარეებთან და ბოლოს ხარისხის უზრუნველყოფის ოფისის წარმომადგენლებთან.

ადგილზე ვიზიტი დასრულდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ აკრედიტაციის პროცესის ძირითადი მიგნებების მოკლე პრეზენტაციით.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ჩვენ ვასკვნით, რომ პროგრამა შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

▪ რეკომენდაციები

⁴პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

არ არის მითითებული

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**
- ჩვენი რჩევაა, რომ მოხდეს პროგრამის ამოცანებისა და სწავლის შედეგების, ასევე პროგრამის სტრუქტურის თაობაზე ინფორმაციის განთავსება უნივერსიტეტის ვებგვერდზე, როგორც კი პროგრამა ამოქმედდება.
- ჩვენი რჩევაა, პროგრამის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინონ სტუდენტებისთვის შეთავაზებული არჩევითი მოდულების უფრო მოქნილი სწავლების განრიგის უზრუნველყოფა (მაგალითად, სადამოს საათებში სწავლება მათთვის ვინც მუშაობას, ან ზოგიერთი კონტენტის ონლაინ რეჟიმში სწავლება).
- ჩვენი რჩევაა, პროგრამის ხელმძღვანელები დაფიქრდნენ არჩევითი საგნების გაფართოებაზე, დაამატონ პროგრამის შინაარსთან რელევანტური მეტი საგანი.
- ჩვენი რჩევაა, პროგრამის ხელმძღვანელებმა გაითვალისწინონ სასწავლო პროგრამაში არქეოლოგიის დარგის ელემენტების შეტანა, განსაკუთრებით ოკუპირებული ტერიტორიების.
- ჩვენი რჩევაა, ენების ცენტრში გაკვეთილების შეთავაზებით, პროგრამის ხელმძღვანელებმა, პროგრამის სტრუქტურაში გამოკვეთონ სტუდენტებისთვის უცხო ენის ცოდნის გაუმჯობესების შესაძლებლობები.
- ჩვენი რჩევაა, პროგრამის ხელმძღვანელები დაფიქრდნენ არჩევითი საგნის „მეოცე საუკუნის მემარცხენე რადიკალური იდეოლოგიების (სტალინიზმი)“ სახელწოდების შეცვლაზე, კერძოდ ისეთი სახელით, რომელიც უფრო უკეთ ასახავს მოდულის შინაარსს.
- ჩვენი რჩევაა, აკადემიურმა პერსონალმა მხედველობაში მიიღოს არჩევითი კურსებისთვის განკუთვნილი მასალების განახლება, რომ მასში შეიტანონ 2012 წლის შემდგომი პუბლიკაციები.
- ჩვენი რჩევაა, პროგრამამ უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოაქვეყნოს გასაჩივრების, პრეტენზიებისა და შევიწროებასთან დაკავშირებული პროცედურები.
- ჩვენი რჩევაა, დაწესებულებამ გამონახოს გზები, იმისათვის რომ შეფასების პროცესში მონიტორინგი გაუწიოს, იყენებენ თუ არა სტუდენტები ხელოვნურ ინტელექტს და ChatGPT-ს, მათ შორის სადოქტორო ნაშრომზე მუშაობისას.
- ჩვენი რჩევაა, დაწესებულებამ დანერგოს სადოქტორო ნაშრომის მაქსიმალური გვერდების რაოდენობის ზღვარი.
- ჩვენ რჩევაა, სავლე პრაქტიკის ჩართვა, როგორც დამატებითი კვლევის/ტრენინგის შესაძლებლობა სტუდენტებისთვის.
- ჩვენი რჩევაა, დაწესებულება დაფიქრდეს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდაზე.
- სასურველია, გაძლიერდეს მუშაობა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობა ერთობლივ საერთაშორისო კვლევით აქტივობებში.
- ჩვენი რჩევაა, დაწესებულებამ განაგრძოს მუშაობა უნივერსიტეტში არსებული ინტერნეტ კავშირის გაუმჯობესებაზე და ელ-პლატფორმაზე სასწავლო მასალების ატვირთვის გაუმჯობესებაზე, როგორც ეს მითითებული იყო გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საბოლოო ანგარიშის რეკომენდაციებში.
- ჩვენ რჩევაა, დაწესებულებამ წაახალისოს და მოუწოდოს სტუდენტებს გამოიყენონ უნივერსიტეტისთვის ხელმისაწვდომი ვრცელი სამეცნიერო მონაცემთა ბაზები.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵
 - არსებული მაგისტრატურის სტუდენტების ჩართვა საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ კვლევით პროექტებში მათ ხელმძღვანელებთან ერთად.
 - ძლიერი საერთაშორისო კავშირები კვლევის მიმართულებით.
 - მჭიდრო თანამშრომლობა გარე დაინტერესებულ მხარეებთან პროგრამის შემუშავებისა და არსებული სტუდენტების სწავლების პროცესებში, ასევე პერსონალის წევრების კვლევით საქმიანობაში.
 - მუშაობა და თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის გუნდსა და პროგრამის განვითარების გუნდს შორის.
- ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე
- დასკვნის პროექტი გადაეგზავნა უნივერსიტეტს. არგუმენტირებულ პოზიციაში უნივერსიტეტს არ წარმოუდგენია შენიშვნები და უკუკავშირი და ასევე არ უცნობებია რაიმე დამატებითი პრობლემების თაობაზე. შესაბამისად ეს დასკვნა წარმოადგენს ჩვენს საბოლოო დასკვნას.
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

⁵პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და დაწესებულების სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტმა: 1) შეიძინოს ცოდნა საქართველოს ისტორიის სფეროში უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით, რაც იძლევა არსებული იდეების, თეორიებისა და ცნებების სისტემატური და კრიტიკული გააზრების, ახალი ცოდნის გამოიმუშავების ან ინოვაციური მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას. 2) გამოიმუშაოს მეცნიერული კვლევის ჩატარების უნარი, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ისტორიის დარგის განვითარებას, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით. 3) უახლესი კვლევის მეთოდების გამოყენებით განივითაროს ისტორიის პრობლემური საკითხების გადაწყვეტაზე მეცნიერულად დასაბუთებული გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უნარი. 4) გამოიმუშაოს კოლეგებთან და ფართო საზოგადოების წარმომადგენლებთან წარმატებული კომუნიკაციის უნარი, ახალი ცოდნის შექმნასა და გადაცემასთან დაკავშირებით. 5) გამოიმუშაოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური საქმიანობისათვის აუცილებელი უნარები და ჩვევები.

სადოქტორო პროგრამის მიზანი სწავლების დონის შესაბამისია, საჯარო, ხელმისაწვდომი, რეალისტური და მიღწევადი. მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული თუ რა ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს გამოიმუშავებს ისტორიის სადოქტორო პროგრამა კურსდამთავრებულებს. ამოცანები ითვალისწინებს ისტორიის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სასწავლო დარგის თავისებურებებს, აგრეთვე კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს VIII დონის კვალიფიკაციის აღმწერის მოთხოვნებს და დეტალური სფეროს „0222 ისტორია და არქეოლოგია“ - შინაარსს, რაც განსაზღვრულია სწავლის სფეროების კლასიფიკატორის III მუხლით. პროგრამა კურსდამთავრებულს საქართველოს ისტორიის სფეროში უახლეს მიღწევებზე დაფუძნებულ ცოდნას აძლევს და ძირითადად ორიენტირებულია რეგიონის შესწავლაზე. პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების შესაბამისად. სწავლის დროს გამოიმუშავებული უნარ-ჩვევები საშუალებას მისცემს კურსდამთავრებულს დასაქმდეს: უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საჯარო სამსახურში, კერძო სექტორში, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში და ა.შ. რეგიონში ჩატარდა შრომის ბაზრის კვლევა. კვლევა

გვიჩვენებს, საჯარო და კერძო სექტორში, ისტორიის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების პოტენციურ შესაძლებლობებს, მათი ტრანსფერული უნარებიდან გამომდინარე.

ჩვენ განსაკუთრებით მივესალმებით გარე შემფასებლების (დამსაქმებლების) მჭიდრო ჩართულობას პროგრამის შემუშავების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების დოკუმენტი
- დამსაქმებლებთან დისკუსია და მათგან უკუკავშირი (ადგილზე ვიზიტის დროს)
- უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლები
- სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია

რეკომენდაციები:

არ არის.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- მოხდეს პროგრამის ამოცანებისა და სწავლის შედეგების, ასევე პროგრამის სტრუქტურის თაობაზე ინფორმაციის განთავსება უნივერსიტეტის ვებგვერდზე, როგორც კი პროგრამა ამოქმედდება.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.1 პროგრამის მიზნები	X	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები:

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ისტორიის სადოქტორო პროგრამას აქვს სწავლის 6 შედეგი: პროგრამის სტუდენტმა უნდა შეძლოს შემდგომი:

1) განიხილავდეს თანამედროვე ისტორიული მეცნიერების უახლეს სამეცნიერო მიღწევებს, აღწერდეს ისტორიული კვლევების თანამედროვე ტენდენციებს და თავისებურებებს, ისტორიის სწავლების ტრადიციულ და თანამედროვე მეთოდებს.

2) კომპლექსური ისტორიული საკითხების ანალიზი სისტემატური და კრიტიკული მიდგომების გამოყენებით.

3) ისტორიის სფეროში ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული კვლევის დაგეგმვა და განხორციელება, კვლევის ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

4) დამოუკიდებლად მიიღოს სწორი და ეფექტური გადაწყვეტილებები ისტორიის რთული პრობლემების გადასაჭრელად რთული და ურთიერთგამომრიცხავი იდეებისა და მონაცემების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე.

5) დაასაბუთოს და მკაფიოდ წარმოადგინოს და გადმოსცეს სამეცნიერო კვლევის შედეგები და მათი კავშირი არსებულ ცოდნასთან, მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ დისკუსიებში.

6) საუნივერსიტეტო განათლებაში მონაწილეობით შეძლებენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პედაგოგიური საქმიანობისათვის საჭირო სასწავლო და მეთოდური მასალების შექმნას.

ისტორიის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და აღწერს ცოდნასა და უნარებს, რომლებსაც სტუდენტი სწავლის პროცესში იძენს. პროგრამის ფარგლები მოიცავს კურსებს ადგილობრივ, რეგიონულ და ტრანსრეგიონულ ისტორიებში და სტუდენტს აძლევს ფართო ცოდნას ისტორიის ფართო გაგებაში, ასევე დიაქრონიულ ჩარჩოებში აღქმისა და გაგების უნარს. სწავლის შედეგები არის რეალისტური, მიღწევადი, გაზომვადი და შეესაბამება პროგრამის მიზანს, ისტორიის დარგობრივ მახასიათებლებს, სწავლის სფეროს სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს, სწავლის სფეროს კლასიფიკატორის მე-3 მუხლით განსაზღვრული დეტალური სფეროს შინაარსს (0222 ისტორია და არქეოლოგია) და მისანიჭებელ კვალიფიკაციას - "ისტორიის დოქტორი". პროგრამის შედეგების შემუშავება გულისხმობს მონაწილეებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების გაცნობას დაინტერესებული საზოგადოებისთვის. სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული დასაქმების სფეროების მოთხოვნებს. სწავლის შედეგები გაზომვადი და მიღწევადია.

სწავლის შედეგები მთლიანობაში თავსებადია სწავლის შედეგებთან, როგორც ეს გათვალისწინებულია დარგობრივი მახასიათებლით და ასევე ემთხვევა ჩვენი, როგორც აკრედიტაციის კომისიის გამოცდილებას, ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მიმართებით.

საქართველოს ისტორიაზე ხაზგასმა ეფუძნება უნივერსიტეტში არსებულ გამოცდილებას და ამ სფეროში ფაკულტეტის ძლიერ კვლევით კულტურას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტი- გასაუბრება ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან

- პროგრამის ამოცანებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამის კურიკულუმის რუკა

რეკომენდაციები:

არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

არ არის.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	X	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- ➤ განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების სწავლის შედეგების შეფასების პროცესს ახორციელებს პროგრამის შეფასების ჯგუფი, რომელიც იქმნება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის განკარგულებით, და რომელშიც შედიან ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრი, პროგრამის ხელმძღვანელები, ფაკულტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლები. პროგრამის განხორციელებაში ასევე ჩართული არიან აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ფაკულტეტის წარმომადგენლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა შემუშავებულია შეფასების ჯგუფის მიერ და მტკიცდება ფაკულტეტის დეკანის მიერ, გარე დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციით.

შეფასების პროცესის შედეგად მიიღება შეფასების ანგარიში, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შეფასების მექანიზმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. შესაბამისი რეაგირებისთვის ეს წარედგინება ფაკულტეტის დეკანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება მიმდინარეობს თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, შეფასების ანგარიში ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება პერიოდულად ტარდება - როგორც კი შერჩეული მიზნობრივი ჯგუფისთვის პროგრამის ყველა შედეგის შეფასება დასრულდება, განისაზღვრება

სტუდენტების ახალი სამიზნე ჯგუფი და იწყება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ახალი ციკლი.

აქედან გამომდინარე, ჩვენ ვასკვნით, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი კარგად იყო მხარდაჭერილი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის გუნდის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოში არსებული სტრუქტურების მიერ. მოქმედებს მკაფიოდ განსაზღვრული მოვალეობები კომიტეტებში და ვალდებულება პროცესების მუდმივი და მკაცრი შეფასებისთვის.

ჩვენ მივესალმებით შეფასების პროცესში გარე დაინტერესებული მხარეების და არსებული სტუდენტების ჩართვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტი- გასაუბრება ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან

რეკომენდაციები:

არ არის.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

არ არის.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	X	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი იმგვარადაა შემუშავებული, რომ უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და კრედიტების განაწილების ევროპული სისტემის (ECTS) შესაბამისად. ის ორიენტირებულია სტუდენტურ გამოცდილებაზე და ეფუძნება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რაც აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა არის 3 წელი. დოქტორის აკადემიური ხარისხის მისაღებად სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 45 ECTS კრედიტი. პროგრამა მოიცავს: საგანმანათლებლო და კვლევით კომპონენტებს. პროგრამის საგანმანათლებლო კომპონენტი მოიცავს 45 ECTS კრედიტს და შედგება სავალდებულო (30 ECTS კრედიტი) და არჩევითი (15 ECTS კრედიტი) სასწავლო კურსებისაგან, რომელსაც დოქტორანტი, საკვლევით თემის თავისებურებებისა და ინტერესების გათვალისწინებით, ასახავს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში, სამეცნიერო ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით. კვლევის კომპონენტი გულისხმობს დისერტაციის შესრულებას ინდივიდუალური გეგმის მიხედვით. დოქტორანტი ასრულებს ნაშრომს სამეცნიერო ხელმძღვანელთან და პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებული ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად. დისერტაცია დასრულებულად ითვლება, თუ მიღწეულია კვლევის მიზანი და ნაშრომში ასახულია დოქტორანტის მიერ დამოუკიდებლად ჩატარებული სამეცნიერო კვლევის დასაბუთებული შედეგები. სადოქტორო დისერტაციის დაცვაზე დაშვების წინაპირობები მოიცავს დოქტორანტის პერიოდული განმავითარებელი შეფასების შედეგებს და მინიმუმ სამი პუბლიკაციის (მინიმუმ ერთი რეცენზირებად საერთაშორისო ჟურნალში) ან Scopus, Web-Science-ში ან ERIH PLUS-ის ბაზებში ინდექსირებული კონფერენციის მასალების გამოქვეყნებას). შესაძლებელია დოქტორანტი იყოს იმავე მონაცემთა ბაზებში ინდექსირებული ერთობლივი მონოგრაფიის თანავტორი, რომელიც ასახავს სადისერტაციო თემის შესაბამისი კვლევის შედეგებს.

სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS - კრედიტების დაგროვების და ტრანსფერის ევროპული სისტემის შესაბამისად, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით და ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება განათლების საფეხურს. პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის ინდივიდუალურობას, სწავლის შედეგების მიღწევას და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია და მისი თითოეული კომპონენტი განლაგებულია ლოგიკური თანმიმდევრობით და ყოველი მომდევნო კომპონენტისთვის მისაღები წინაპირობები ადეკვატურია. საგანმანათლებლო კომპონენტი ხელს უწყობს დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი უნარების ჩამოყალიბებას, კვლევის სფეროში თეორიული ცოდნის გაღრმავებასა და პედაგოგიური საქმიანობისთვის მომზადებას. კვლევითი კომპონენტი, დისერტაციის სახით, უზრუნველყოფს აქტუალური სამეცნიერო პრობლემის სიღრმისეულ შესწავლას და დარგში ახალი ცოდნის შექმნას, ორიგინალური დასკვნების ჩამოყალიბების გზით. სადოქტორო პროგრამა ძირითადად ასახავს დარგის თანამედროვე მიღწევებს.

ამჟამინდელი მაგისტრატურის სტუდენტებთან გასაუბრების დროს, სტუდენტების გამოხმაურება მოიცავდა კომენტარს, პროგრამის სასწავლო ელემენტების (როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი) მოქნილად მიწოდების შესახებ, ანუ ონლაინ კომპონენტით /დისტანციური სწავლებით ან საღამოობით სწავლებით, რათა დღისით მომუშავე სტუდენტებმა შეძლონ დასწრება. ჩვენ ვურჩევთ პროგრამის ხელმძღვანელებს, განიხილონ სტუდენტების ეს მოთხოვნა და, თუ ეს შესაძლებელია, დანერგონ სასწავლო პროგრამაში.

ჩვენ ასევე გირჩევთ, რომ უნივერსიტეტმა გააღრმავოს სტუდენტებისთვის ენის შესწავლის შეთავაზება. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური ენის გარკვეული დონე არის პროგრამაში დაშვების წინაპირობა, არ არსებობს ფორმალური შეთანხმება, რომ სტუდენტებმა აითვისონ სხვა უცხო ენები ან განივითარონ ინგლისური ენის ცოდნა. ამიტომ ჩვენ გირჩევთ, პროგრამამ გამოიყენოს უნივერსიტეტში არსებული ენების ცენტრი და უზრუნველყოს სათანადო სწავლება დოქტორანტებისთვის.

ასევე გირჩევთ, რომ პროგრამის ხელმძღვანელებმა გააუმჯობესონ არქეოლოგიის დარგის მოდულების შეთავაზება.

მივესალმებით სტუდენტების აქტიურ ჩართულობას კვლევის მტკიცე კულტურის შექმნაში, საერთაშორისო კვლევით სიმპოზიუმებში სტუდენტთა ჩართულობით. ჩვენ ასევე მივესალმებით აქტიურ კვლევით კულტურას, რაც გამოიხატება ისტორიის დარგში ფართოდ აღიარებულ ჟურნალში პუბლიკაციებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- გორის სახელმწიფო საგანმანათლებლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და გაუქმების ინსტრუქცია (გორის სახელმწიფო საგანმანათლებლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 26 ოქტომბრის დადგენილება N6-49)
- ადგილზე ვიზიტი
- უნივერსიტეტის ვებგვერდი

რეკომენდაციები:

არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- პროგრამის ხელმძღვანელობმა გაითვალისწინონ სტუდენტებისთვის შეთავაზებული არჩევითი მოდულების უფრო მოქნილი სწავლების განრიგის უზრუნველყოფა (მაგალითად, საღამოს საათებში სწავლება მათთვის ვინც მუშაობას, ან ზოგიერთი კონტენტის ონლაინ რეჟიმში სწავლება).
- პროგრამის ხელმძღვანელები დაფიქრდნენ არჩევითი საგნების გაფართოებაზე, დაამატონ პროგრამის შინაარსთან რელევანტური მეტი საგანი.
- პროგრამის ხელმძღვანელებმა გაითვალისწინონ სასწავლო პროგრამაში არქეოლოგიის დარგის ელემენტების შეტანა, განსაკუთრებით ოკუპირებული ტერიტორიების.
- ენების ცენტრში გაკვეთილების შეთავაზებით, პროგრამის ხელმძღვანელებმა, პროგრამის სტრუქტურაში გამოკვეთონ სტუდენტებისთვის უცხო ენის ცოდნის გაუმსჯობის შესაძლებლობები.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	X	☐	☐	☐

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს ისტორიის სადოქტორო პროგრამაში წარმოდგენილი ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგები. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს, რაც თავის მხრივ შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის დონეს. თითოეული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები შეესაბამება ამ კურსის შინაარსს და სწავლის შედეგს. სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ასახავს დარგის უახლეს მოვლენებს და სწავლის შედეგების საფუძველს წარმოადგენს. მიმდინარეობს ახალი სასწავლო/სამეცნიერო ლიტერატურის შესყიდვა და სილაბუსების განახლება. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა განთავსებულია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის ონლაინ კატალოგის (OPAC) სერვისი, პროგრამის დოქტორანტებს და პერსონალს ეძლევათ წვდომა საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებზე: Cambridge University Press, SAGE Premier, e-Duke Journals Scholarly Collection, Openedition Journals, Scopus.

პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებული საგანმანათლებლო კომპონენტის ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსები, 45 კრედიტის ოდენობით, სრულად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგებს. კვლევის უნარების განვითარებას ემსახურება ორი სასწავლო კურსი: ისტორიული კვლევისა და მეცნიერების მართვის თანამედროვე მეთოდები (5 კრედიტი) და დოქტორანტის სემინარი (10 კრედიტი), რომლის მიზანია დოქტორანტმა შეისწავლოს ისტორიის კვლევის თანამედროვე მეთოდები და შეძლოს ცოდნის პრაქტიკული გამოყენება სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამუშაოდ მომზადება ხდება ორი სასწავლო კურსით: სწავლებისა და სწავლის თეორიები უმაღლეს სასწავლებლებში (5 კრედიტი) და პროფესორის ასისტენტობა (10 კრედიტი). მათი მიზანია დოქტორანტმა

შეისწავლოს სწავლისა და განვითარების თეორიები და შეძლოს მათი პრაქტიკაში გამოყენება. მათში გამოყენებულია თანამედროვე ლიტერატურა, როგორც ქართული, ისე უცხოური, თუმცა მათ შორის არის 2012 წლამდე გამოცემული სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო მასალები. 11 არჩევითი სასწავლო კურსი უზრუნველყოფს დოქტორანტების თეორიულ ცოდნას კვლევის მიმართულებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები (შიდა ქართლი), ისტორია და თანამედროვეობა“ და „საქართველო-რუსეთის ურთიერთობები პოსტსაბჭოთა პერიოდში“, რომლებიც ასახავს საქართველოსა და ქართლის რეგიონის ახალ ისტორიას და აქტუალურ საკითხებს.

პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების პროცესში დადგინდა, რომ სადოქტორო პროგრამა ძირითადად ორიენტირებულია საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის შესწავლასა და კვლევაზე. სწორედ ამას ემსახურება არჩევითი საგნების უმეტესობა. მაგრამ პროგრამაში არის კურსები, რომლებიც სცილდება ამ ქრონოლოგიურ ჩარჩოებს და მიზნად ისახავს ადრინდელი პერიოდის ისტორიის ქრონოლოგიურად შესწავლას დოქტორანტების ინტერესებიდან გამომდინარე. მაგალითად: ქართველი ერის ეთნიკური ისტორია, საქართველოს სამხედრო ისტორია (ძველი დროიდან მე-18 საუკუნემდე), კათოლიკე მისიონერები საქართველოში და ა.შ. აღსანიშნავია, რომ მათში გამოყენებული სავალდებულო სასწავლო ლიტერატურა ძირითადად 2012 წლამდე გამოიცა. შესაბამისად, სასურველია მათი განახლება.

აქვე აღვნიშნავთ, რომ სასწავლო კურსის სათაური „მე-20 საუკუნის მემარცხენე რადიკალური იდეოლოგიები (სტალინიზმი)“ დაზუსტებას საჭიროებს. მოდული, როგორც ჩანს, ძირითადად ეხება სტალინიზმს და მარქსიზმს და მის ვარიანტებს რუსეთში. ამიტომ, ჩვენ ვთავაზობთ პროგრამის გუნდს განიხილოს სასწავლო კურსის სილაბუსის სახელის ადაპტირება ისე, რომ იგი უფრო მეტად ასახავდეს მოდულის შინაარსს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტი
- მოდულების სილაბუსები
- პროგრამის კურიკულუმის რუკა
- უნივერსიტეტის ვებგვერდი

რეკომენდაციები:

არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- პროგრამის ხელმძღვანელები დაფიქრდნენ არჩევითი საგნის „მეოცე საუკუნის მემარცხენე რადიკალური იდეოლოგიების (სტალინიზმი)“ სახელწოდების შეცვლაზე, კერძოდ ისეთი სახელით, რომელიც უფრო უკეთ ასახავს მოდულის შინაარსს.
- აკადემიურმა პერსონალმა მხედველობაში მიიღოს არჩევითი კურსებისთვის განკუთვნილი მასალების განახლება, რომ მასში შეიტანონ 2012 წლის შემდგომი პუბლიკაციები.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	☒	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლა-სწავლების მეთოდები და სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს სასწავლო სფეროს სპეციფიკას, დონის მოთხოვნებს, სტუდენტის საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი მიღების წინაპირობები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვას, სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვთ ისტორია/არქეოლოგიის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის, აგრეთვე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხის მქონე პირებს, რომლებიც კვალიფიცირდება ისტორია/არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის დასრულების საფუძველზე. დოქტორანტურაში სწავლის უფლების მისაღებად აუცილებელია:

- აპლიკანტმა წარმოადგინოს კვლევის თეზისი/კონცეფცია, რომელიც ადასტურებს, რომ დოქტორანტი ფლობს აუცილებელ უნარებს/კომპეტენციებს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისთვის.
- წარმოადგინოს დოქტორანტის მიერ უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის/დარგის პროფესორების ან ასოცირებულ პროფესორთაგან შერჩეული პერსპექტიული სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა.

- დოქტორანტის მიერ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით გავლისათვის საჭირო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის (CV) წარდგენა.

- ინგლისური ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს უნივერსიტეტის გამოცდით ან შესაბამისი სერტიფიკატით. ზემოაღნიშნული ვალდებულებებისაგან თავისუფლდებიან დოქტორანტურის კანდიდატები, რომლებმაც დაასრულეს ერთ-ერთი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა ან დოქტორანტურა) ინგლისურ ენაზე.

- უცხოენოვანი დოქტორანტისთვის ინგლისურთან ერთად ქართული ენის ფლობა, რომელიც უნდა დადასტურდეს საუნივერსიტეტო გამოცდით ან ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან ქართულენოვანი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტით (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა ან დოქტორანტურა).

- მისაღები გამოცდის (ზეპირი ან წერილობითი) ჩაბარება საქართველოს ისტორიაში.

საქართველოს ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე პირი შეიძლება ჩაირიცხოს მობილობის პრინციპით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, დოქტორანტი, რომელსაც სურს მობილობის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების ყველა წინაპირობას. საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამაზე მიღების პირობებისა და კრიტერიუმების შესახებ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.gu.edu.ge. პროგრამაში შესაძლებელია 5 სტუდენტის ჩარიცხვა.

ისტორიის სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად საჭირო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე ადამიანების ჩართვას. პროგრამაში მიღების პროცედურები მკაცრი, სამართლიანი და ხელმისაწვდომია. წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ლოგიკურად უკავშირდება განათლების დონეს, პროგრამის შინაარსს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლების ენას. პროგრამაში სტუდენტი ირიცხება სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ ჩატარებული კონკურსის გზით. ის, რომ უცხოური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს შეუძლია პროგრამაზე სწავლა, ხელს უწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას, რაც ასევე ხელს უწყობს დოქტორანტების ჩართვას საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებსა და კვლევებში. მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი სტუდენტების რაოდენობის დაგეგმვის მეთოდების შესაბამისად. სადოქტორო პროგრამა წინაპირობების კუთხით სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება;
- გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია და მექანიზმი;

- უნივერსიტეტის ვებგვერდი.

რეკომენდაციები:

არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

არ არის.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	X	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამის კომპონენტები ორიენტირებულია დოქტორანტის პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, რაც ხორციელდება პროგრამის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის მეშვეობით. „ისტორიის კვლევისა და მეცნიერების მართვის თანამედროვე მეთოდები“ და „დოქტორანტის სემინარი“ მიმართულია კვლევითი უნარების ჩამოყალიბებაზე, ხოლო „სწავლებისა და სწავლის თეორიები უმაღლეს სასწავლებლებში“ და „პროფესორის ასისტენტობა“ ავითარებს პედაგოგიური საქმიანობისთვის აუცილებელ პრაქტიკულ უნარებს. / პროექტის განხორციელება, რომელიც ასევე გულისხმობს კვლევისა და პრაქტიკული უნარების განვითარებას. ამ მიმართულებით განსაკუთრებული წვლილი შეაქვს კვლევით კომპონენტს სადოქტორო დისერტაციის სახით, რომელიც მიზნად ისახავს ახალი ცოდნის შექმნას აქტუალური პრობლემების/კვლევის შესწავლით და მისი წარდგენით ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე და არანაკლებ სამი სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნებით, მათ შორის რეცენზირებულ საერთაშორისო ჟურნალებში (ან კონფერენციის შრომებში), რომლებიც ინდექსირებულია Scopus, Web of Science ან ERIH PLUS მონაცემთა ბაზებში. აღნიშნული აქტივობების შესრულება უზრუნველყოფს პრაქტიკული, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა ტრანსფერული უნარების განვითარებას. უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების ჩართვას სხვადასხვა კვლევით პროექტსა და სამეცნიერო კონფერენციაში. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების მონაწილეობას საუნივერსიტეტო და საერთაშორისო სტუდენტურ კონფერენციებში. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური

ინიციატივების/პროექტების მხარდაჭერის მექანიზმი, რომელიც განისაზღვრება „სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესით“, რომლითაც ხდება სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო ინიციატივების/პროექტების დაფინანსება.

სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პროგრამის საგანმანათლებლო და პრაქტიკული კომპონენტი შეესაბამება სწავლების დონეს. სხვადასხვა პრაქტიკულ და სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობისას სტუდენტს ხელმძღვანელობს დარგში კვალიფიციური პირი. დამამთავრებელი კურსის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებმა ცხადყო, რომ ისინი ხშირად მონაწილეობდნენ არქეოლოგიურ გათხრებსა და კვლევით პროექტებში რეგიონის სხვადასხვა ობიექტზე. დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები დიდწილად უწყობს ხელს პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სადოქტორო პროგრამის საგანმანათლებლო კომპონენტები ითვალისწინებს სადოქტორო ნაშრომის დასაწერად საჭირო კომპეტენციების განვითარებას და შესაბამისი დონის კვლევის უნარ-ჩვევების განვითარებას.

მტკიცებულება/ინდიკატორები

1. საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამა
2. სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება;
3. სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი.

რეკომენდაციები:

არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

არ არის.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	x	☐	☐	☐

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების

გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული კომპონენტი იყენებს სწავლა/სწავლების მეთოდებსა და აქტივობებს, რომლებიც განაპირობებს სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას. პროგრამა იყენებს შემდეგ მეთოდებს: ლექციის მეთოდი, პრაქტიკული მეთოდი, დისკუსია, საჩვენებელი მეთოდი, დებატები, შემთხვევის განხილვა და ანალიზი, ევრისტიკული მეთოდი, კვლევის მეთოდი, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება, თანამშრომლობითი სწავლება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.

პროგრამის თითოეულ კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდები აისახება შესაბამის სილაბუსში/კონცეფციურ დოკუმენტში. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული კომპონენტის სწავლა-სწავლების მეთოდები ითვალისწინებს სადოქტორო საფეხურის სპეციფიკას, შეესაბამება კომპონენტის შინაარსს და ამ კომპონენტის სილაბუსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათი მიღწევას. პროგრამით გათვალისწინებული სწავლა-სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ამ პროცესის მონაწილეებს შორის აქტიურ ურთიერთქმედებას.

სადოქტორო პროგრამაში გამოიყენება სწავლა-სწავლების აღიარებული მეთოდები, რომლებიც ითვალისწინებენ შესაბამისი საფეხურის, კურსისა და დარგის სპეციფიკას და შეძლებისდაგვარად ორიენტირებულია სტუდენტებსა და სწავლის შედეგებზე. ისინი უზრუნველყოფენ შედეგებზე გასვლას. სასწავლო პროცესის ორგანიზება მიზნად ისახავს ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომლებიც უზრუნველყოფენ დოქტორის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნისა და უნარების გამომუშავებას. საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სხვადასხვა კურსების/საგნების სწავლა-სწავლების მეთოდები, აქტივობები განისაზღვრება სწავლებისა და კვლევის კომპონენტების სპეციფიკის გათვალისწინებით, სწავლებისა და სწავლის შედეგების დონის შესაბამისად. სწავლა-სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში, სათანადო ავტონომიითა და პასუხისმგებლობით. სწავლებისა და სწავლის მეთოდები ითვალისწინებს სტუდენტის აქტიურ მონაწილეობას სასწავლო პროცესში და მიმართულია სტუდენტის მიერ დარგობრივი და ტრანსფერული უნარების განვითარებაზე.

მტკიცებულება/ინდიკატორები

1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
2. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დასამტკიცებლად წარდგენის პროცედურა.
3. თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

არ არის.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	X	☐	☐	☐

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები ფასდებიან საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელ წესში აღწერილი დადგენილი პროცედურების შესაბამისად. შეფასების პროცედურები არის გამჭვირვალე, სანდო და შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას (კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გამოთვლის პროცედურების დამტკიცების შესახებ).

შეფასების პროცესი ასახულია პროგრამის აღწერით ნაწილში, ხოლო შეფასების კონკრეტული კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს პროგრამის კომპონენტის სპეციფიკას, შეესაბამება ამ კომპონენტის სწავლის შედეგებს და განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით ან მარეგულირებელი დოკუმენტით.

ადგილზე ვიზიტის დროს, გასაუბრებისას, აღმოვაჩინეთ, რომ ამჟამად დადგენილია სადოქტორო ნაშრომის გვერდების მინიმალური რაოდენობა. ჩვენი რჩევაა, როდესაც პროგრამა ჩაეშვება, სტუდენტების გზამკვლევაში მიუთითოთ სადოქტორო ნაშრომის გვერდების მკაფიოდ განსაზღვრული მაქსიმალური ზღვარი. ამის შესახებ გასაგებად უნდა ეცნობოს სტუდენტებს და ეს ზღვარი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ისტორიის დარგში სხვა უნივერსიტეტებისა თუ უცხოური უნივერსიტეტების სადოქტორო ნაშრომების ლიმიტებს.

სტუდენტების შეფასება კარგად იყენებს პლაგიატის აღმოჩენის არსებულ პროგრამულ უზრუნველყოფას, როგორიცაა Turnitin. ხელოვნური ინტელექტისა და ChatGPT-ის ბოლოდროინდელი განვითარების გათვალისწინებით, ჩვენ მოვუწოდებთ დაწესებულებას გამოიკვლიოს გზები, რომლითაც შეძლებენ ამ ხელსაწყოების სტუდენტების მიერ გამოყენების შესაძლო ფაქტების გამოვლენას, მათ შორის სადოქტორო ნაშრომის შეფასებისას მონიტორინგისა და შემოწმების გზით.

ჩვენი რჩევაა, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შესახებ სრული გზამკვლევი, ასევე საჩივრებისა და პრეტენზიების წარმოების შესახებ გზამკვლევი ხელმისაწვდომი იყოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე, როგორც კი პროგრამა დაიწყებს ფუნქციონირებას. სახელმძღვანელოები შევიწროებასთან დაკავშირებული პროცესების შესახებ ასევე ფართოდ უნდა იყოს ხელმისაწვდომი ვებგვერდზე. პროგრამის შესახებ ინფორმაციაც უნდა მიეწოდებოდეს სტუდენტებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის რეგულირების პროცედურა;

უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულება და სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება;

სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა;

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში პლაგიატის გამოვლენის, პრევენციისა და პლაგიატის შემთხვევებზე რეაგირების მექანიზმები.

უნივერსიტეტის ვებგვერდი.

რეკომენდაციები:

არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- ჩვენი რჩევაა, რომ პროგრამამ უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოაქვეყნოს გასაჩივრების, პრეტენზიებისა და შევიწროებასთან დაკავშირებული პროცედურები.
- ჩვენი რჩევაა, რომ დაწესებულებამ გამონახოს გზები, იმისათვის რომ შეფასების პროცესში მონიტორინგი გაუწიოს, იყენებენ თუ არა სტუდენტები ხელოვნურ ინტელექტს და ChatGPT-ს, მათ შორის სადოქტორო ნაშრომზე მუშაობისას.
- დაინერგოს სადოქტორო ნაშრომის გვერდების რაოდენობის მაქსიმალური ზღვარი.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.4. სტუდენტების შეფასება:	x	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

